



სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დანართი №1

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

<p>პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)</p>	<p>თურქოლოგია Turkology</p>
<p>მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)</p>	<p>ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი თურქოლოგიაში (0231.1.16) Bachelor of Humanities in Turkology</p>
<p>პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება</p>	<p>240 კრედიტი 180 კრედიტი ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები (15 კრედიტი ეთმობა ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით კურსებს; 10 კრედიტი კი საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას) 60 კრედიტი თავისუფალი კომპონენტი.</p>
<p>სწავლების ენა</p>	<p>ქართული</p>
<p>პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები</p>	<p>ემზარ მაკარაძე, პროფესორი, ისტორიის დოქტორი ლილე თანდილავა, ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი</p>
<p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ¹</p>	<p>საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საბაკალავრო საფეხურზე დაშვების წინაპირობებია სრული ზოგადი განათლება და ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარება. „თურქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის #111 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად. „თურქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აბიტურიენტის ჩარიცხვისათვის, ბსუ-ს განსაზღვრული აქვს მინიმალური ზღვარი თითოეულ საგამოცდო საგანში: ქართული ენა და ლიტერატურა - 25%-ზე მეტი, უცხო ენა (გერმანული, ინგლისური, ფრანგული, რუსული) - 20%-ზე მეტი და ისტორია - 25%-ზე მეტი. ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე აბიტურიენტები საგანმანათლებლო პროგრამაზე მიიღებიან საგამოცდო საგნებისათვის მინიჭებული კოეფიციენტების მიხედვით. ბაკალავრიატში ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სწავლის უფლება აქვთ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და მოქალაქეობის</p>

¹ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განისაზღვრება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ №127 ბრძანების შესაბამისად. დოქტორანტურაში მიღების წესი რეგულირდება შესაბამისი ფაკულტეტის დებულებით.

	<p>არმქონე პირებს, რომელთაც მოპოვებული აქვთ უმაღლესი განათლების მიღების უფლება იმ ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, რომელშიც მიღებული აქვთ საშუალო ან მისი ეკვივალენტური განათლება. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე აბიტურიენტების, სტუდენტების ჩარიცხვის წესი განისაზღვრება „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/ მაგისტრანტობის კანდიდატების/ სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების შესაბამისად.</p> <p>„თურქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე შესაძლებელია შიდა ან გარე მობილობის (გადმოყვანის) წესით სტუდენტთა ჩარიცხვა. პროგრამაზე ჩარიცხვისა და დაშვების წინაპირობის შესახებ აუცილებელი ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ასევე საინფორმაციო ბუკლეტებიდან, უნივერსიტეტის ოფიციალური facebook გვერდიდან და ღია კარის დღეების დროს საინფორმაციო/ საორიენტაციო შეხვედრებზე.</p> <p>ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის 06 გადაწყვეტილების „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის წესის თაობაზე“, დასაქმების ბაზრის კვლევის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ადამიანური რესურსის გათვალისწინების საფუძველზე თურქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა კონტინგენტი განისაზღვრა - 20 სტუდენტით.</p>
<p style="text-align: center;">საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</p>	<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. მისცეს ფართო ცოდნა თურქოლოგიის დარგში - ენათმეცნიერების, ლიტერატურათმცოდნეობის, ისტორიის, კულტურის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცნებებისა და ტერმინოლოგიის, თარგმანის საფუძვლების, კომუნიკაციის თეორიებისა და პრინციპების შესახებ; 2. შეასწავლოს თურქული ენის ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკურ-სემანტიკური, ლექსიკოლოგიურ-სტილისტიკური თავისებურებები სამეტყველო უნარების (წერა, მოსმენა, საუბარი, კითხვა) ენობრივი კომპეტენციის არანაკლებ B2 დონეზე დაუფლების მიზნით; 3. ჩამოუყალიბოს წერიტი და ზეპირი მეტყველების კულტურა ქართულ და თურქულ ენებზე; განუვითაროს საკუთარი აზრის ლოგიკური, თანამიმდევრობითი გამოთქმისა და სხვადასხვა დანიშნულების ისტორიული, ლიტერატურული, საარქივო წყაროებისა და წერილობითი ტექსტის სწორად გაგების, მცირე ხასიათის კვლევების უნარ-ჩვევები, კულტურათაშორისი კომუნიკაციის ეფექტიანად წარმართვის მიზნით; 4. გააცნოს თურქოლოგიის დარგის მნიშვნელოვანი ტენდენციები თურქული ენის, ლიტერატურის, ქვეყნის

	<p>ისტორიულ-კულტურული ასპექტების საკვანძო საკითხები; გამოუმუშაოს თურქოლოგიის დარგობრივი ძირითადი მიმართულებების აღქმის, სწორად გაგების, ინტერპრეტაციის, მონაცემების შეგროვების, გაანალიზების, დასკვნების გამოტანის, არგუმენტირებული მსჯელობის, დასაბუთების, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, სინთეზის და ანალიზის, ინფორმაციული ტექნოლოგიების, მულტიმედიური და საბიბლიოთეკო რესურსების შერჩევის უნარი;</p> <p>5. განუვითაროს თურქოლოგიის დარგში საკუთარ აკადემიურ და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვის, შეძენილი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გამოყენებისა და სხვისთვის გაცნობისა და გაზიარების, ეთიკური ნორმების და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის, კულტურული და მსოფლმხედველობრივი მრავალფეროვნების პატივისცემის, სწავლა-სწავლების ინტერნაციონალიზაციის უნარი; უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმისა და მისიდან გამომდინარე, მოამზადდოს მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, შრომის ბაზარზე ორიენტირებული სპეციალისტი.</p>
<p>სწავლის შედეგები</p>	<p>2021 წელს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მიღებული იქნა ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი უმაღლესი განათლების I და II საფეხურები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI და VII დონეები.</p> <p>წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ საგანმანათლებლო პროგრამებში შეჯერდა სწავლის სფეროების კლასიფიკატორში გაწერილი მიმართულებების ფარგლებში გააზრებული ენის/ენების შესწავლის პრაქტიკული და დარგობრივ-თეორიული ასპექტები, რომელთა საფუძველზე მიიღწევა სწავლის შედეგების მინიმალური საორიენტაციო მოთხოვნები. დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულია მინიმალური სწავლის შედეგების შესაძლო სპექტრი.</p> <p>კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შერჩევა/ფორმირება ხდება ენის დაუფლების საგანმანათლებლო პროგრამის პროფილისა და მიზნების გათვალისწინებით. ამასთან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებამ საერთაშორისო პრაქტიკისა და დარგის უახლესი მიღწევების/გამოცდილების, ასევე საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე უცხოელ პარტნიორთა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკომენდაციის საფუძველზე, ბაზრის მოთხოვნებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით შესაძლებელია მიიღოს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლის დამატებითი შედეგების განსაზღვრის თაობაზე. სწავლის ესა თუ ის შედეგი შესაძლებელია მიღწეულ იქნეს როგორც ცალკეული, ისე სხვადასხვა საგანმანათლებლო (სასწავლო და/ან კვლევითი) კომპონენტის კომბინირებით.</p> <p>უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოაყალიბოს სამ კატეგორიად (ცოდნა და გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) დაყოფის გარეშე. დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სწავლის</p>

	<p>შედეგები შეიძლება აისახოს როგორც პროგრამის, ისე მისი სასწავლო და კვლევითი კომპონენტების სწავლის შედეგებში.</p>
<p>ა) ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>კურსდამთავრებული:</p> <p>I. აღწერს თურქოლოგიის (ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა, ისტორია, კულტურა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური საკითხები) საკვანძო ტერმინებს, ცნებებს და საკითხებს. თარგმანთმცოდნეობისა და კომუნიკაციის თეორიებსა და ფუნქციებს;</p> <p>II. განსაზღვრავს თურქული ენის, ფონეტიკურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ, ლექსიკოლოგიურ და სტილისტიკურ თავისებურებებს.</p> <p>III. მიმოიხილავს თურქული ენის, ლიტერატურის, ისტორიის, კულტურის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულებების ძირითად საკითხებს; თურქოლოგიის ძირითად მიმართულებებს, თეორიებსა და კონცეფციებს, პრინციპებსა და უახლეს პრობლემებს.</p>
<p>ბ) უნარები</p>	<p>IV. იყენებს თურქულ ენას (არანაკლებ B2 დონეზე), როგორც ზეპირი, ისე წერიითი კომუნიკაციის დროს სამიზნე აუდიტორიასთან, გამოხატავს საკუთარ აზრს ცხადად და თანმიმდევრობით შესაბამისი ენობრივ-სტრუქტურული ერთეულების შერჩევითა და სამეტყველო ნორმების დაცვით.</p> <p>V. განსხვავებს კულტურათაშორის არეგებულ მსგავსება-განსხვავებებს კომუნიკაციის (ზეპირი და წერიითი) დროს, ეფექტიანად იყენებს კომუნიკაციის სათანადო ხერხებს; წარმართავს პრეზენტაციებს და აწარმოებს კორესპოდენციას ქართულ და თურქულ ენაზე შესაბამისი საკომუნიკაციო საშუალებების, ხერხებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით;</p> <p>VI. ანალიზებს ენათმეცნიერების, ლიტერატურათმცოდნეობის, ისტორიის, პოლიტიკისა და კულტურის ძირითად საკითხებსა და მიმდინარეობებს; თურქოლოგიის მიმართულების თეორიებს, კონცეფციებს, პრინციპებსა და უახლეს პრობლემებს პროფესიული საქმიანობის წარმართვისთვის, საჭირო მონაცემების შეგროვების, იდენტიფიცირების, სინთეზისა და ანალიზის მეთოდების გამოყენებით;</p> <p>VII. მონაწილეობს თურქოლოგიასთან დაკავშირებულ თემატურ დისკუსიებში. აბსტრაქტული, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების უნარის გამომუშავების საფუძველზე მსჯელობს არგუმენტირებულად და თანმიმდევრულად, პრობლემას ხედავს ახლებურად და მოიძიებს მისი გადაჭრის ორიგინალურ გზებს იდეათა შორის ახლებური კავშირების პოვნის შედეგად.</p> <p>VIII. ახორციელებს კვლევით და პრაქტიკული ხასიათის სამუშაოებს ნაშრომზე (საბაკალავრო, რეფერატი, პრეზენტაცია და სხვ.) და მოიძიებს ქართულ და თურქულ ენებზე არსებულ ლიტერატურულ, ისტორიულ, საარქივო და წერილობით ტექსტებს, წყაროებს, საბიბლიოთეკო და მულტიმედიურ რესურსებს. იყენებს მათ საჭიროებისამებრ;</p>

<p>გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</p>	<p>IX. აღიარებს თურქოლოგიის, ქართულ-თურქულ ისტორიულ და კულტურულ საერთაშორისო ტრადიციებს; ასევე ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მაღალ იდეებს; იცავს თავისუფალი პიროვნების ქცევისადმი წაყენებულ პროფესიულ, ეთიკურ სტანდარტებს;</p> <p>X. ზრუნავს საკუთარ აკადემიურ და პროფესიულ განვითარებაზე. ამჟღავნებს სწავლის საჭიროებების დამოუკიდებლად განსაზღვრისა და იმ პრიორიტეტების გამოყოფის უნარს, რაც განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას მისცემს ან/და შესაბამის სფეროში დასაქმებაში შეუწყობს ხელს.</p>
<p>სწავლება-სწავლის მეთოდები</p>	<p>სწავლების მეთოდებია:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ლექცია; 2. სემინარი/სამუშაო ჯგუფი; 3. დამოუკიდებელი მუშაობა; 4. პრაქტიკული მეცადინეობა; 5. ჯგუფური ან ინდივიდუალური კონსულტაცია; 6. სწავლება საინფორმაციო ტექნოლოგიებით; 7. როლური და სიტუაციური თამაშები; 8. გონებრივი იერიში; 9. შემთხვევის ანალიზი; 10. სტუდენტის მიერ მასალის დამოუკიდებლად დამუშავება და აზრების გადმოცემა/მსჯელობა შესაბამის თემაზე; 11. ჯგუფური დისკუსია წინასწარ მომზადებულ თემაზე; 12. ტექსტების, დოკუმენტებისა და სხვა სასწავლო მასალის ან მათი ამონარიდების კომენტირება მათი კონტექსტუალიზაციის, ინტერპრეტაციის ან ანალიზის მიზნით; 13. განსაზღვრულ თემაზე ინფორმაციის მოძიება, შერჩევა და შეფასება, მაგალითად, საბიბლიოთეკო რესურსების, დარგობრივი ბიბლიოგრაფიების გამოყენებით; 14. ბეჭდურ, ციფრულ ან/და სხვა ფორმატში წარმოდგენილი სხვადასხვა პირველადი ტექსტის, დამხმარე სამეცნიერო ლიტერატურისა და სხვა სასწავლო მასალის უშუალო შესწავლა/კრიტიკული წაკითხვა (გააზრება); 15. მოძიებული ინფორმაციისა და განხორციელებული ინტერპრეტაციის პრეზენტაცია 16. ზეპირად და წერილობით (ესეები, ანგარიშები...), მათ შორის ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით; 17. დისკუსია და დებატები; 18. შემოქმედებითი წერა; 19. აუდიო-ვიდეო მასალების გამოყენება; 20. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა; 21. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება; 22. ტესტი ღია და დახურული კითხვებით; 23. ისტორიულ-კულტურული დათვალიერება/მონახულება; ძეგლის 24. საბიბლიოთეკო რესურსების, დარგობრივი ბიბლიოგრაფიების (მათ შორის ონლაინ- ბაზების) გამოყენება;

	<p>25. ბეჭდურ, ციფრულ ან/და სხვა ფორმატში წარმოდგენილი სხვადასხვა პირველადი ტექსტის, დამხმარე სამეცნიერო ლიტერატურისა და სხვა სასწავლო მასალის უშუალო შესწავლა/ კრიტიკული წაკითხვა (გააზრება);</p> <p>26. საკვალიფიკაციო ნაშრომი;</p> <p>27. და სხვა.</p>
<p>შეფასების სისტემა</p>	<p>სასწავლო კომპონენტში მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, საიდანაც შუალედურ შეფასებას ეთმობა 60 ქულა, ხოლო დასკვნით შეფასებას - 40 ქულა.</p> <p>შუალედური შეფასება მოიცავს:</p> <p>ა) შუალედური გამოცდის შეფასებას - მაქსიმუმ 20 ქულა;</p> <p>ბ) მიმდინარე შეფასებებს - მაქსიმუმ 40 ქულა.</p> <p>მიმდინარე შეფასების კომპონენტები მოიცავს წერით გამოკითხვებს (ტესტი, რეზიუმე, საშინაო დავალება, ესე, ქვიზი, რეფერატი და სხვ.), ზეპირ გამოკითხვებს (დისკუსია, დებატები, პრეზენტაცია, აქტიურობა და სხვ.) და შეფასების სხვა ფორმებს (როლური თამაში, პოსტერი და სხვ).</p> <p>შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 21 ქულა, ხოლო დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 20 ქულა.</p> <p>შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <p>ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;</p> <p>ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;</p> <p>გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;</p> <p>დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;</p> <p>ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;</p> <p>არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:</p> <p>ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;</p> <p>ზ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p>
<p>დასაქმების სფეროები</p>	<p>პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება დასაქმდეს შემდეგ ინსტიტუციებში და სამსახურებში:</p> <p>1. ადგილობრივი და საერთაშორისო ასოციაციები/ კავშირები/ საზოგადოებები;</p>

	<ol style="list-style-type: none"> 2. სამეცნიერო, კვლევითი და საგანამანთლებლო ცენტრები და ორგანიზაციები; 3. სახელმწიფო და კერძო სტრუქტურები; 4. რედაქციები და გამომცემლობები; 5. პროფესიული გაერთიანებები; 6. დიპლომატიური წარმომადგენლობები; 7. სახელმწიფო/კერძო რადიო და სატელევიზიო არხები და მედია ცენტრები; 8. საინფორმაციო და ტურისტული სააგენტოები; 9. ბიზნეს სტრუქტურები და სარეკლამო სააგენტოები; 10. მთარგმნელობითი ბიუროები; 11. კულტურისა და ხელოვნების ერთეულები/დაწესებულებები, მუზეუმები, არქივები და სხვა. <p>შემენილი ცოდნა და უნარ-ჩვევები შესაძლებლობას მისცემს კურსდამთავრებულს დამოუკიდებლად დაგეგმოს საკუთარი უწყვეტი პროფესიული განვითარება, დაადგინოს საკუთარი შემდგომი სწავლის საჭიროებები და სწავლა გააგრძელოს აკადემიური განათლების მეორე საფეხურზე.</p>
<p style="text-align: center;">სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის</p>	<p>უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქე სტუდენტებისთვის შეადგენს 2250 ლარს. უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისთვის სწავლის წლიურ საფასურს ადგენს უნივერსიტეტი, ფაკულტეტი ან პროგრამა მთავრობასთან შეთანხმებით.</p>
<p style="text-align: center;">პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი</p>	<p>ადამიანური რესურსები:</p> <p>პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 22 ადამიანი. (მათ შორის 15 აკადემიური პირი და 7 მოწვეული პერსონალი.</p> <p>ბსუ -ს პროფესორები:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ემზარ მაკარაძე; 2. ზაზა შაშიკაძე; 3. მერაბ ხალვაში; 4. მარინე გიორგაძე; 5. ჯემალ კარალიძე. <p>ბსუ -ს ასოცირებული პროფესორები:</p> <ol style="list-style-type: none"> 6. ლილე თანდილავა; 7. მანუჩარ ლორია; 8. ბადრი გეჩბაია; 9. იბრაიმ დიდმანიძე; 10. ვარდო ბერიძე; 11. მზია ხახუტაიშვილი; 12. ლევან ხალვაში <p>ასისტენტ პროფესორები:</p> <ol style="list-style-type: none"> 13. ლიანა ჭყონია; 14. ლეილა დიასამიძე; <p>სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების მეცნიერ-თანამშრომელი:</p> <ol style="list-style-type: none"> 15. ირინა ვარშალომიძე;

მოწვეული პერსონალი:

- 16. ალკაზარ კაშია;
- 17. ბექა მაკარაძე;
- 18. ლაშა ბოლქვაძე;
- 19. დავით ანდლულაძე;
- 20. ზაურ შანთაძე;
- 21. სალომე კარალიძე;

სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან მოწვეული.

- 22. პაატა ჯაფარიძე;

მატერიალური რესურსი:

თურქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. ბსუ-ს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი მატერიალური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის. ამდენად, უნივერსიტეტს აქვს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო წიგნადი ფონდი. პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ბეჭდური და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული საბიბლიოთეკო ფონდი არის განახლებადი დარგში მიმდინარე განვითარებების კვალდაკვალ.

უნივერსიტეტში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ უფასო ინტერნეტით.

ბსუ-ს ილია ჭავჭავაძის საბიბლიოთეკო (ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. N35 (ბსუ-ს N1 კორპუსი) რესურსებს შეადგენს საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სამკითხველო და კომპიუტერული დარბაზები, საბიბლიოთეკო კოლექციები (სხვადასხვა ენაზე გამოცემული წიგნადი და არაწიგნადი ფონდი: სახელმძღვანელოები, სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურა, პერიოდული გამოცემები, საცნობარო გამოცემები, ელექტრონული რესურსები და ა.შ.); ელექტრონული ბიბლიოთეკა (ელექტრონული წიგნები და პერიოდული გამოცემები, აუდიო და ვიდეოჩანაწერები; ელექტრონული სამეცნიერო ბაზები).

ბსუ-ს პერსონალს და სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს ბიბლიოთეკის კომპიუტერული ტექნიკით, სამკითხველო და კომპიუტერულ დარბაზებში, ელექტრონული რესურსებითა და

	<p>ბეჭდური საბიბლიოთეკო ერთეულის ბიბლიოთეკიდან გარკვეული ვადით გატანის უფლებით (ე. წ. აბონემენტით მომსახურება).</p> <p>უნივერსიტეტს წვდომა აქვს შემდეგ ძირითად საერთაშორისო ბაზებთან:</p> <ul style="list-style-type: none"> • Elsevier - www.elsevier.com; • sciencedirect- www.sciencedirect.com; • Scopus - www.scopus.com; • EBSCO და სხვა. ასევე, უნივერსიტეტს გააჩნია წვდომა კემბრიჯის სხვადასხვა მიმართულების ბაზებთან, ჩამონათვალი და მათზე ზოგადი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბსუ-ს ვებგვერდზე: https://www.bsu.edu.ge/sub-15/page/2-174/index.html • ბიბლიოთეკა იყენებს მართვის ინტეგრირებულ სისტემებს „Open Biblio“ და „KOHA“, რაც საშუალებას აძლევს მკითხველს დისტანციურად მონახოს და დაჯავშნოს მისთვის საინტერესო რესურსი; დამატებითი ინფორმაცია საბიბლიოთეკო რესურსების შესახებ იხილეთ ბმულზე - http://www.bsu.edu.ge/sub-15/page/2-237/index.html). • ბსუ, როგორც ორგანიზაცია, დარეგისტრირებულია EURAXESS-ის პორტალზე, შესაბამისად, უნივერსიტეტის სამეცნიერო და აკადემიურ პირებს აქვთ შესაძლებლობა დარეგისტრირდნენ EURAXESS ვებ. გვერდზე, რაც საშუალებას აძლევს მათ, რომ ჩაერთონ საერთაშორისო კონკურსებსა და პროექტებში, მოიპოვონ დაფინანსება. <p>ბსუ-ს აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტში</p> <ul style="list-style-type: none"> • სასწავლო ლიტერატურისა და სხვა მასალის მოპოვებას სტუდენტი შეძლებს აგრეთვე აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტის ბიბლიოთეკაში (ოთახი №46, №52) ელექტრონულ ჟურნალ აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნეში https://openjournals.ge/index.php/hos. <p>უნივერსიტეტს აქვს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო შესაბამისი ინვენტარითა და ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზი, საპროფესორო აუდიტორია, სადაც სტუდენტებს პროფესორები უწევენ კონსულტაციას, სასწავლო/სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია და კომპიუტერული აუდიტორიები.</p> <p style="text-align: center;">პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა:</p> <p>ბსუ-ში სტუდენტთა კონტინენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესაბამისად დასაქმების ბაზრის კვლევის, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ადამიანური რესურსის გათვალისწინებით, თურქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრა 20 - ით.</p>
<p>პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა</p>	<p>ინფორმაცია პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ თან ერთვის. იხ. დანართი:</p>
<p>დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)</p>	